

ქართველ და აფხაზ პოეტთა საღამო

„ჩონგური და აფხიარცა“



16 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს ორგანიზებით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ხელოვანთა მხარდაჭერის მიზნით, ქ. ზუგდიდის ბოგანიკურ ბაღში გაიმართა ღვენილ პოეტთა საღამო, სახელწოლებით „ჩონგური და აფხიარცა“. ღონისძიება გახსნა ანსამბლმა „ოღოიამ“, იქვე მოეწყო აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ მხაგვართა ნამუშევრების გამოფენა და აფხაზეთიდან ღვენილ ღვაწლმოსილ პოეტთა საღამო, რომელსაც მწერალი ლაშა გვასაღია უდღვებოღა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა მინისტრი ღავით ფაცაცია სამ ენაზე მიესაღმა ღონისძიების მონაწილეებს და წახალისების მიზნით, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეგანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სასაჩუქრე ვაუჩერები და მადლობის სიგელები გადასცა ღვაწლმოსილ ადამიანებს.

ღონისძიების მიზანს წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ღვაწლმოსილ ხელოვანთა გაძლიერება, მხარდაჭერა და წახალისება, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათი ჩართულობის მრღას მსგავსი შინაარსის კულტურულ ღონისძიებებში და ურთიერთღაახლოებას.

საიუბილეოღ მერი ყურაუვილი - 90



ღიღარ ღაგარგულია
 1 ღღე
 ღიღი და პატარა რაულ ჩიღაჩავას ახალ წიგნებს ეცნობიან, ბებიაღ და ბაბუაღ თუ ვერ მოასწრეს აკაკი წაიკითხავს...



ჩვენი ქალაქის ღამამშვენ ქალბაგონს, ღიღი ოჯახის ღეღას და ბებიას, ღვაწლმოსილ აგრონომენგომოლოგს, საქართველოს, ქალთა საბჭოს აქტიურ ქველმოქმედ წვერს, საიუბილეო ღღესთან ღაკავშირებით „მადლიერების სიგელი“ გადაეცა.

ველოცავთ ქალბაგონ მერის საიუბილეო თარიღს და ამ ღამსახურებულ ჯიღლოს და ვუსურვებთ მათუსაღას ასაკისა მოიყაროს ოჯახისა და მრავალღა გასახარად.

სამეგრელოს ქალთა საბჭოს სახელით
 ნათია ჯაუშია



მღინარე ჩსოუუიღის ჟარსული, აფმყო და ჟიქრები მის მომავალზე

გვ. 3

საგოგალოება გუბღიღელი უღოსავს იუბიღარებს



გული	პეტირა
აგუმავა	(მურთაგ)
85	უბარი -
	80
	გვ. 8



ქართულ და აფხაზ პოეტთა საღამო „ჩონგური და აფხიარცა“



ღამით ზასაძის

უზომოდ ბედნიერი და უდიდესი შთაბეჭდილებებით სავსე ვარ, რადგანაც დიდი ხანი ველოდი ამ დღეს, როცა ხელოვნების, პოეზიის საშუალებით შევძლებდით ქართულ-აფხაზური ერთობისადმი ჩვენი სიყვარულის გამოხატვას. მიხარია, რომ ეს შესაძლებლობა უფრო ახლოს, ჩვენს აფხაზეთთან, ბუგდიდის ბოგანიკურ ბაღში, ამ წალკოგსა და სილაბაზეში მოგვეცა.

სწორედ, რუსი წარმოდგენდა უნიკალური მეგობრობისა და ერთობის უდიდეს მაგალითს, რომლის გამყარებასაც ჟიული მარტავამ შეუწყო ხელი. ჩვენი, აფხაზებისა და ქართველების ვალია სიყვარულით, ნდობითა და ურთიერთპატივისცემით აღვადგინოთ და განვაახლოთ ეს ურთიერთობები.


ლონისძიებამე წარმოდგენილ პოეტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში, ასახულია ქართველი და აფხაზი პოეტების მიერ ქართულ-აფხაზურ თემაზე შექმნილი ლექსები და არის იმ უნიკალური სიგუაყიის აღწერა, რაც არსებობდა აფხაზეთში 90-იან წლებამდე. ეს იყო განსაკუთრებული ურთიერთობა, სიყვარული და პატივისცემა. სამწუხაროდ, მათ ავტორთა უმეტესობა დღეს ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ჩვენი ვალდებულებაა გავაცოცხოოთ ეს უდიდესი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც არის პირველი წყარო და ხიდი ერთიანობის, რწმენისა და სიყვარულისა.

დღეს, აფხაზებს ყველაზე მძიმედ უდგათ ეკონომიკური, სოციალური, კულტურულ-ენობრივი საკითხები და როგორც არასდროს სჭირდებათ ჩვენი სიყვარული, გვერდში დგომა და მათდამი გულწრფელობის, რწმენის და ერთიანი საქართველოს სიმბოლოში გაჯერებული დამოკიდებულების გამოხატვა. სამწუხაროა, რომ ყველა ეს გამოხატულება დღეს ძირითადად ქართულ ენაზეა და არ ესმის აფხაზეთის მკვიდრთა უმეტესობას, მაგრამ ეს ყველაფერი ჩვენ გვაძლევს სიძლიერეს, სიმამრეს, რომ სწორი გზით მივდივართ და ყველაფერს ვაკეთებთ სიმართლით, სიყვარულითა და რწმენით ქართველი და აფხაზი ერის ერთიანობისა და ძლიერი მომავლის გადსარჩენად.

მჯერა, რომ ლონისძიებამე წარმოდგენილი საზოგადოების დამოკიდებულებისა და ჩართულობის მსგავსი მაგალითებით ვაგრძნობინებთ აფხაზებს ჩვენი ისტორიული ერთიანობის და საერთო კეთილდღეობის გარდაუვალობას. ამ პროცესში ძალიან დიდი გაფრთხილება და სწორი გამოცდილების გაზიარება გვჭირდება. ჩავთვალოთ, რომ სწორედ ეს საღამო იქნებოდა სიმბოლური საწყისი ქართველთა და აფხაზთა სხვადასხვა ჯგუფების, მათ შორის ექიმების, მწერლების, ომში დაღუპულთა დედების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების ურთიერთობებისა იმ ამრის ირგვლივ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით.

დიდ მაღლობას ვუხდი ლონისძიების ყველა მხარდამჭერს, პოეტებს, მხატვრებს, განსაკუთრებით ჩვენს პაგარა მონაწილეებს, რომლებმაც თავიანთ ნახატებში გადმოსცეს ის განცდა, რომელსაც უმეტესობა მშობლების მონაყოლიდან გრძნობს. მაღლობა მათ აფხაზეთის სიყვარულისთვის.

საღამომე, აფხაზეთიდან დავინილ ხელოვნებს, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში შეგანილი განსაკუთრებული წვლილისთვის 300 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერები და მაღლობის სიგელები გადავცეით.





**მდინარე ჩხოუზიის წარსული, აწმყო და
უძრავი მის მომავალზე**

შევეცდები შორს არ წავიდე და ორ-სამ საუკუნოვანი ექსკურსი გავაკეთო იდეას თან დაკავშირებულ საკითხებზე, რამეთუ უფრო შორს წასვლის არც არანაირი პირობა და რეზერვი არ გამაჩნია. რეზერვები შიგვლისხმოვ ისტორიული წარსულის კვალიფიციურ ცოდნასა და მასში ღრმად წვდომის შესაძლებლობებს! მე-16 მე-17 საუკუნისა და უფრო ადრინდელი პერიოდ

რაციულ ცენტრს —
ზუგდიდს, თუნდაც
მოსახლეობის რაოდე-
ნობიდან გამომდინარე,
არ ჰქონდა ბუნების
სიდიადის, მისი წყალო-
ბის გამოყენების პრო-
ბლემები. სამეგრელოს
მთელი ტერიტორია
დაფარული იყო მრა-
ვალსაუკუნოვანი მუხნ-
არის, წაბლის, ცაცხ-
ვის, ურთხელისა და
სხვა იშვიათი ჯიშის
მცენარეთა გაუვალი
ტყეებით. ტერიტორია
დასერილი იყო მდინ-
არეებითა და ნაკადუ-

ჩვენს სოფელს შორის
მანძილი კი სულ რაღაც
60 კმ-ია.

წარსულში: ტყე
ებითა და მდინარეებით
გაჯერებული კოლხეთი,
მრავალფეროვანი ფაუნა,
ზომიერი კლიმატი და ჰავა,
აღნიშნულით უზომოდ
კმაყოფილი ამაყი და
ჯანმრთელი მოსახლეობა,
ზუგდიდის მშენებელთა წყალ
უხვი ჩხოვეთობა, რომელსაც
ყველ ანარიად უფიქრებენ,
მისზე დამოკიდებულები, მის
სანაპიროებზე გაშენებული
სოფლები და იქ მცხოვრები

გამოცდილება ვერ იძლეოდა.

მეტად სასარგებლო, დროული და შორს გამიზნულია ეს იდეა რეალობად რომ იქცეს, სერიოზული შრომაა საჭირო. პირველ რიგში ის, რომ იდეა ხელმისაწვდომი და ნათელი გახდეს სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობისათვის იმ დონეზე, რომ აღამიანებმა თავიდანვე უტოპიად არ ჩათვალონ და ხელი არ ჩაიქნიონ ამ არამარტო საშვილიშვილო, არამედ ათასწლეულისა და მთელი ნათელი მომავლის ერთ-ერთ მამოძრავებელზე. პროექტის ორმესამედზე მეტი გეოგრაფიას, ბუნებას აქვს გაკეთებული. ადგილი სადაც საკვები წყარო უნდა მიეწოდოს ჩხოროშისას, სამასი მეტრით დაბალია იმ გეოგრაფიულ წერტილზე, სადაც უნდა მოხდეს წყაროებისა და ნაკადულების ერთ დიდ აუზში შეკრება და სწორედ აქედან 10-15 კმ-ის მანძილზე უნდა მიეწოდოს მიღებით ჩხოროშისას სათავეს, ჩვენი სოფლის ტერიტორიაზე ჯვარის მიმდებარედ.

მე და ჩემს შვილს-გორას
გერისის მთები რამოდენიმე
ჯერ დაგვიღაშქრია. სწორედ
ჩვენთვის საყვარელი მთების
„თეკენაშის“, „ორულაფუს“,
„ისნათიას“, „ოცაღუეს“,
„ხოკოს“, „ყვირილ“ აუზის
ნაწილობრივ გამოყენებაა

საჭირო ისე, რომ ადვილ
ფორივ სიტუაციას უარყო
ფითად არ დაეჭყოს
სამუშაოთა წარმოება.
მთავარი ყურადღება
უნდა გამახვილდეს ქვე
ყნის ხელმძღვანელობის
დროულ ინფორმაციასა
და აღნიშნულისადმი
მათი დამოკიდებულების
ათვის საჭირო ღონისძი
ებებზე. ეს გადამწყვეტი
მომენტია!

უნდა დადგინდეს სამეგრელოს წარმომადგენელი ცნობილი ბიზნესმენების სია და მაქსიმალური აქტივობით მათი ჩართვა ამ ათასწლეულის გამოწვევაში, ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციის ავტორიტეტული ჩარევა ამ საქმეში ერთ-ერთ უმთავრეს მომსახურებელ უნდა ჩაითვალოს!

სამუშაო სერიოზულ
ია, მას ამ საქმით სისხლ
ხორცეულად დაინტერესე
ბულ ადამიანთა მრავალ
რიცხოვანი არმიის ჭირდ
ება და თუ დამოკიდებუ
ლებაც საპირწონე იქნება
ამ საოცარი იდეისა, ეს
იდეა შეიძლება რეალო
ბად იქცეს. ჩხოუშია ისევ
ბატუტტადეს და მომა
ვალ თათბებს გასაგებ
ენაზე დაეხმარაკოს!

გურამ და გონა
ფიფიები, ზუგდიდი,
2020 წ.

იმდროინდელ სამეგრელოს, მის გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ ცენტრს – ზუგდიდს, თუნდაც მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, არ ჰქონდა ბუნების სიდიადის, მისი წყალობის გამოყენების პრობლემები. სამეგრელოს მთელი ტერიტორია დაფარული იყო მრავალსაუკუნოვანი მუხნარის, წაბლის, ცაცხვის, ურთხელისა და სხვა იშვიათი ჯიშის მცენარეთა გაუვალი ტყეებით. ტერიტორია დასერილი იყო მდინარეებითა და ნაკადულებით, რომელიც გადაძებილი იყო ორაგულითა და კალმახით. ზუგდიდს ამშვენებდა წყალუხვი მდინარე „ჩხოლშია“, რომელიც ცნობილი იყო თავისი მდიდარი სანაპიროებითა და წყაროებით.


ის კოლხეთი, სამეგრელოს ტერიტორია უმდიდრეს ოაზისს წარმოადგენდა თავისი ფლორითა და ფაუნით. კოლხეთის მდებარეობა, მისი კლიმატი და ისტორიული მეხსიერება ყოველთვის მიმზიდველი იყო არამარტო ადგილობრივი კოლხი მოსახლეობისათვის, არამედ უცხოელი მოგზაურებისა და მკვლევარებისათვის! მოგვირდები „ოქროს საწყმისს“, სტრაბონს, შარდენს, ბოროზდინს და სხვებს, რამეთუ ამ მოკლე მიმოხილვაში ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ.

მე-16 საუკუნის
ბოლოსა და მე-17
საუკუნის დასაწყისში
მოხდა სამეგრელოს
კონტურების ახლებუ
რი მონიშვნა და
სწორედ ამ პერიოდი
დან მოჰკიდეს დადია
ნებმა ხელი ზუგდიდ
ის ადმინისტრაციუ
ლი ერთეულის ფორ
მირეობას.
იმდროინდელ
სამეგრელოს, მის
გეოგრაფიულ და
ადმინისტრაციულ

ლებით, რომელიც გადაძეძგილი იყო ორაგულითა და კალმახით. ზუგდიდს ამშვენებდა წყალუხვი მდინარე „ჩხოუშია“, რომელიც ცნობილი იყო თავისი მდიდარი სანაპიროებითა და წყაროებით. ჩხოუშია სათავეს იღებდა და იღებს ჯვარის მიმდინარე ისტორიული სოფლის, ერთდროს თავადი აფაქიძეების ეწერად, შემდგომ კი ორჯონიკიძედ წოდებულ ჩვენს მშობლიურ სოფელში. ჩვენს სოფელში დაბადებული იმდროისთვის წყალუხვი ჩხოუშია ამდიდრებდა და ალამაზებდა სოფლებს ჭკადუაშს, კორცხელს, ზედაეწერს, ნაწულუკუს და იერსა და შნოს მატებდა ზუგდიდს, რომელსაც ჩხოუშიას გარეშე ვერც წარმოედგინა ნორმალური ცხოვრება. ზუგდიდს მოფერებული ჩხოუშია სოფლებს ინგირს, კახათს, დარჩელს არტოვებდა უკმაყოფილოს და უკვე მდინარე ჯუშს მიერთებული, გულში ეხუტება შავ ზღას. შავ ზღასა და

ადამიანები დღეს კატა
სტროფის წინაშეა.

დღევანდელ დღეს: სრული შეუსაბამობა წარსულთან, გაკაფული და გავერანებული მუხისა და წაბლის, ცაცხვისა და აკაციის, რცხილის კორუმები დამშრალ-გამხმარი წყაროები და ნაკადულები, ღელეები, მომსპარი თევზსაშენი ტბორები და ადამიანთა საცურაო მორევეები, რომელთა სიკეთითა და სიმშველიერით არათუ ჩვენს წინაპრებს, არამედ ჩვენს თაობასაც უსარგებლია. თვალდახუჭულებმა ვიცოდით რომელ მორევში რამდენი დიდი გადმოსახტომი ქვა იდო და სად რომელი ჯიშის თევზი ბუდობდა. დაშრა, დაშრა და გახმა ჩხოუშია, ერთ დროს მოჩხრიალე და მობუტბუტე ჩვენი კუთხის სილამაზე და მშვენება. ამ უბედურებას შეეჩვივნენ და შეეგუენ მასზე დამოკიდე ბული ადამიანები, გაქრა და დავიწყებას მიეცა მითი და ლეგენდა, დადიანების მცდელობისა შავი ზღვიდან არხის გამოყვანისა ზუგდიდისკენ, რის საშუალებასაც იმდროინდელი ტექნოლოგიები და



ქართულ და აზსაზ პოეტიკა საღამო „მონგური და აზსიარცა“


დავით შატაშვილი

აზსაზიდან დღემდე, 13 წლის რამდენ საჯარო სახლში ვესტუმრეთ და წახალისების მიზნით, საჩუქრად ლეპტოპი გადავცემით.

რამდენ საჯარო არის განსაკუთრებული უნარის მქონე ბავშვები, რომელთა საკუთარი შორეული ნებისმიერ რისკს გეგმირაჲ ჰქონს ერთმანეთზე. კალიან სანტარესო იყო პატარა ბენიოსთან შეხვედრა და მასთან ერთად, რთული მათემატიკური მაგალითების ამოხსნა.

სწორედ ასეთი ნიჭიერი და ბონიერი თარგა წარმოადგენს იმ კლიერ კალას, რომელმაც უფრო განვითარებული საქართველო უნდა შექმნას.

წარმატებებს ვუსურვებ რამდენს და მიწა, რომ იქონს კარგი მაგალითი სხვა ბავშვებისთვის. ჩვენ კი ყოველთვის ვესძებთ ნიჭიერი ახალგაზრდების დახმარებას, რათა უფრო მეტი შესაძლებლობა ჰქონდეთ მომავალი წარმატებისთვის.



წალენჯიხა

მოკლდრის საათი წალენჯიხის საჯარო სკოლებში



გუგლიდისა და ცაიშის ეპარქიის მიგროპოლიტ გერასიმეს ლოცვა - კურთხევით გარდება „მოძღვრის საათი“, რაც გულისხმობს საჯარო სკოლებში შემეცნებითი საგანმანათლებლო საუბრებს რელიგიაზე, ხელოვნებასა და კულტურაზე.

გაიმართა შეხვედრა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ლიის საჯარო სკოლაში.

ლონისძიება მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიგროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 წლის და დაბადებიდან 90 წლისთავს.

პროექტს ორგანიზებას უწევს გუგლიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრი

მხარდაჭერა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წალენჯიხის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.

შეხვედრას დაესწრო გუგლიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრი.

შეხვედრას უძღვებოდა გუგლიდისა და ცაიშის ეპარქიის სოფელ ლიის წმინდა გიორგის ტაძრი ს წინამძღვარი: დეკანოზი გალაქციონ ფიფია.

სამოქმედო პროგრამა ემყარება: საქართველოს განათლების სისტემის ეროვნულ სასწავლო გეგმას, საქართველოს კანონმდებლობას, ბავშვთა უფლებების კონვენციას და სხვა სამოქალაქო აქტებს.

მუშაობის მიზანია:

ა) ანალიტიკური ამოცანების, შემოქმედებითი უნარების, ქრისტიანული, ეროვნული და საკაცობრიო იდეალების განვითარება.

ბ) ტექნოლოგიური და ინტელექტუალური ინფორმაციის კვლევა-ძიების უნარების ჩამოყალიბება.

გ) ცხოვრებისეული გამოწვევების მიმართ სწორი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

დ) თავისუფალი და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ყოველკვირეული შეხვედრა მუნიციპალიტეტში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.



ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრი



სულთმოფენობა

მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტ გერასიმეს ლოცვა-კურთხევით, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II აღსაყდრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, სულთმოფენობის დღესასწაულზე ნარაზენის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხარების სახელობის გაბართან არსებულმა საკვირაო სკოლამ ჩაატარა.

გილოცავთ სულთმოფენობის დღესასწაულს.

სული წმინდა მოვიდეს თქვენ ზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს თქვენ.



ბოლო მარი

20 მაისს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედაეწერისა და ჯიხაშკარის №1 საჯარო სკოლის ბოლო მარი საზეიმო ღონისძიებით აღინიშნა. XII კლასის კურთამთავრეულებს მიულოცეს სკოლის დამთავრება, დალოცეს და წარმატებები უსურვეს ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის სოფ. ზედაეწერის წმინდა გიორგის სახელობის გაბართან წინამძღვარებმა, დეკანოზი პაველ გოგოხიამ და ჯიხაშკარის ხარების სახელობის გაბართან წინამძღვარი, მღვდელი რომანოზ საბურძანიამ.

„ბოლო მარი 2023“

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდის ბოგანიკურ ბაღში, სხვადასხვა გასართობი ღონისძიება გაიმართა.

ბოგანიკურ ბაღში მიმდინარე ღონისძიებებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და საგანმანათლებლო-კულტურის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდული ცენტრის თქვის სახელოსნო „იალაღი“ ს მონაწილე მოსწავლე - ახალგაზრდებმა.

ხელოვნების პედაგოგი ქ. მარინა ქარდავა. წარმოადგინეს სხვადასხვა ჟანრში შესრულებული უნიკალური, თქვაზე შესრულებული ხელთნაკეთი ნივთები.

„ყველა ბავშვს ვულოცავთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს!“

ჩვენ დავგეგმეთ და ვეცადეთ ერთი ლამაზი დღე გვეჩქებინა ჩვენი ბავშვებისთვის. მაღლობა მინდა გადავუხადო ბავშვთა გასართობ ცენტრ „მადაგასკარს“ და ასევე „ზუგდიდი მოლს“, საიდანაც დაიწყო ჩვენი ბავშვების ხალისიანი დღე, ხოლო დასკვნითი ნაწილი გარდება ბოგანიკურ ბაღში, რომლის ადმინისტრაციამ ძალიან ბევრი საინტერესო აქტივობა დაგვგეგმა, სადაც ჩვენს ბავშვებს შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო და მშვიდობა, ბედნიერება და საუკეთესო მომავალი ვუსურვო მათ. მისარია, რომ ძალიან ბევრი ბავშვია დღეს გახარებული“-აღნიშნა მამუკა წოწერიაძე.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ინგილის №2 საჯარო სკოლაში საქართველოს დამოუკიდებლობის 105 -ე წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცნობიერებისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა და გააცოცხლეს ეპიზოდები წარსულიდან დამსწრე საზოგადოების წინაშე.

წარმოაჩინეს ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლი ღირსეული მამულიშვილების ღვაწლი, ისაუბრეს 1991 -92 წლებში საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას პიროვნებაზე, შეასრულეს საქართველოს დამოუკიდებლობის ჰიმნი.

დასკვნით ნაწილში გაიმართა საზეიმო კონცერტი.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრის, წარმომადგენელი, სკოლებთან, საგანმანათლებლო საორგანიზაციო საკითხებში, ზუგდიდის სოფ. დავითიანის მთავარანგელოზთა სახელობის გაბართან წინამძღვარი, დეკანოზი ლაშარე ჯიქია.

„ღარგე ნერგი და გაამწვანე შენი გარემო“



25 მარტს ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის მიტროპოლიტ:

გერასიმეს ლოცვა-კურთხევით,

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის ცენტრთან არსებულმა, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ზარებას“ წევრებმა პროექტი „ღარგე ნერგი და გაამწვანე შენი გარემოს“ ფარგლებში დარგეს სხვადასხვა ჯიშის დეკორატიული მცენარეები.

პროექტს ბატონმა პაატა გოგელიამ 12 ძირი სხვადასხვა სახეობის, მარადმწვანე ჯიშის მცენარეები შემოსწირა.

მოსწავლეებმა ხეები დარგეს ქ. ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის, დადიანების სასახლის, ვლადიკრის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო გაბართან ეზოში.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ალიო მირცხულავა (მაშაშვილი)

120
(პოეტის გახსენება)



ა ფ ხ ა მ უ რ ი

ხალასი ვარ, ალმასი ვარ, დედისერთა ლამაზი ვარ,
მე ლაფშაზე არა ვზივარ, ქარს გავაფრენ-გავაზი ვარ,
არ გეგონოს: ძალაზე ვარ, ან ჩერქეზი, ან ლაზი ვარ,
არც ისეთი ლამაზი ვარ, არც ხალასი ალმასი ვარ,
მაგრამ მაინც აფხაზი ვარ.

ოჯახი მაქვს ძალიანი, ოღა ცისფერთვალიანი,
ემო ფართოხალიანი, ბადი ფორთოხალიანი,-
ნალია ვით ბროწეული, სკდება ამ წლის მოწეულით,
ჯერნებიც მყავს ოცეული, შემოსილი ძოწეულით.
ტახტი მიღვას ქონგურისებრ, ტახტზე კიდევ ჩონგური

წევს,

საგროფილო დასაკრავი, ხშირად გულში ჩასაკრავი.
ჩემი ბედი შენ ყოფილხარ,
საქორწინოდ შემკობილხარ.
სხვა სიმდიდრე აღარ მინდა, აღარ მინდა მე მშობივეი,
ჩემი ლექსის ხვაივც მყოფნის, სახლში ძლივსღა
ვეზიდები.

ჰაიგ ჩემო აფხაზურა, გასჭერ ქარი ალმასურად,
ხილზე გადი ჯამბაზურად წაგოგმანდი მალხაზურად!
წადი ნულარ გეხათრება, ეს რა ჯადო გეხლართება?
ფეხს ნუ ადგამ, ალაღია, ეს ღაიას ღალაღია.

განა მარტო ღაიამა, ჩემმა გულმა და იამა,
გაგაჯავრა ღაიამა და მით გული ღაიამა!

მომყავს ჩემი თეთრი ქალი,
თვალფირუზა, მკერდფიქალი.

სამეგრელოს ბაღნარიდან, ოჯალეშის მაღლარიდან,-
ჰე, რა სიმწრით, რა სიავით, მოვიტაცე ეს ნიავი!

ალიო მირცხულავა
1947 წელი

2023 წლის 28 აპრილს საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალდეა-საქართველომ“ და „კოლხეთის“ (ფაზისი) საერო, სამეცნიერო, საერთაშორისო აკადემიამ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზში ჩაატარეს გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ალიო მირცხულავას (მაშაშვილი) დაბადებიდან 120 წლის საიუბილეო საღამო, რომელსაც უძღვებოდა ამ აკადემიების პრეზიდენტი ვაჟა ეგრი სელი.

დიდი პოეტის შემოქმედებაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამავე აკადემიების აკადემიკოსი გურამ კუპაგაძე.

საინტერესო სიტყვებით და მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიის წევრები: ბადრი ქუთათელაძე, სპარტაკ ქობულაძე, ივანე ამირხანაშვილი, გივი სიხარულიძე, აპოლონ გაღელიძე, დენიზ სუმბაძე, იგორ კვესელავა, ალექსანდრე თინათინ გიორგაძე, ლალი ორმოცაძე, მორისონ ქობულაძე, მურაბ ლიპარტიძე, იური პაპასქუა, გიორგი კუპაგაძე, ლარი სახაჭაპურიძე, ამირან გოგოლაძე, ქეთი ქავთარაძე, მურაბ გრიგალაშვილი, სერგი საჯაია, თამაზ ქვლივიძე, გრიგონ ხუბუა, ნუგზარ სართანია, ნათია ჯგუშია, ომარ ცხვარაძე, ნაზი ქობალაძე, ლია სანაძე, სორთმან ჯაფარიძე, მადო ჯაფარიძე, ხუტა პაჭკორია მერაბ ხოჭოლაძე, მურმან გელენიძე, შაქრო კვირკვია, ეკა ხუნწარია, იამზე რობაქიძე, ნათელა გოხელაშვილი, ნანა ჭირაქაძე, რამაზ ბეჟანიშვილი, ბორის ბესელია.

მარი ეგნატაშვილი, მანანა მამულაშვილი

პრესცენტრი

მისალმება
ნაპითსულია რუსთაველის თეატრში 1963 წლის 28 აპრილს, პოეტ ალიო მირცხულავას- (მაშაშვილი) (ჩემი დედის ძმის) დაბადებიდან 60 წლის საიუბილეო საღამოზე.

მოგესალმება სამშობლო-
ვაჟას, აკაკის, რუსთაველის
და სიმღერებით ჩაგივლის,
ერთი კი არა, უთვლელი...
წერილებს ოქროს ჩანგივით
სიგყვა თქმული და უთქმელი...
კოლხეთის გარიჟრაჟობა
ბნელს წვავდა ცეცხლის შეხებით!
სიმღერას, შენს თამაშობას,
ლაღად უსმენდნენ ვერხვები,
შენი ლამაზი ბავშვობა-
იქ ღაღის შიშველ ფეხებით,
იქ იშვა ლექსი პირველი,
ცაში ელვად რომ აფრინდა;
მარად სიცოცხლის მხილველი,
მარად მოსილი დაფნითა,
დაფრინავს, როგორც ფრინველი
გაშლილი ფრთების აფრითა.
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანს -
ცა ეღვა მნათთა ჰანგების
და როცა ჯამბა დაჰბერა
დღეების აგანგაშებით,
„ლურჯა ცხენებს“ და „მერანს“
მისდევდნენ „ელვის რაშები“,
მღვამ მღვისებურად იღვლეა,
შფოთვა დღესაც არ ნელდება...
ქვეყნად სახალხო სიმღერებს,
ქანგი არასდროს ეღება!
ვინა სთქვა ლექსისი სიბერე,
ლექსი არასდროს ბერდება!
ამქვეყნის გარემო ცაა,
მარად მნათობთა მფლობელი,
მზის შუქთა გარემოცვაა,
ვინ იცის, ვის რა მოგველის,
შენი ლექსები ლოცვაა,
საერო საგალობელი...
მეც, შენს ნაკვალევს გამოვეყვ,
ვით მართვე დედა შევარდენს,
და ხელებს ვუწვდი ვარსკვლავებს
ვწყველი მახვილს და ჯვევარდენს!
ჰოი, რა მაღლა ასულხარ,
როდის მივალწევ შენამდე!
ბობოქარ ქამთან იომე,
სულში გათოვდა.. გაწვიმდა..
ივალა ქარით სიონი
და მომავალიც გაბრწყინდა,,
დღეს გიხმობს გალაკიონი,
გელის, გეძახის მთაწმინდა!

ვაჟა ეგრისელი,
ახალგაზრდა პოეტი,
1963 წ.

„არ ღაპიყყება მოყვრისა აროდეს ბვიზამს ზიანსა!“

ჩვენ ზუგდიდელი...



ქალაქ ზუგდიდის მმართველობაში დეპუტა მოვიდა, ფოთის ნავსადგურში შემოვიდა ტანკერი „ზუგდიდი“ და ეკიპაჟს თქვენთან შეხვედრა და გაცნობა გვსურსო. შეიქმნა 10 კაციანი დელეგაცია აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის ბაგონ მურთაზ ყალიჩავას ხელმძღვანელობით. საჩუქრად შერჩეულ იქნა ჩაი (ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკიდან), სხვადასხვა სახის საწერი ქაღალდები და ბლოკნოტები (ენგურქაღალდკომბინატიდან).

ეს იყო 1977 წლის ზაფხული...

დანიშნულ დროს ვეწვიეთ ფოთს, ნავსადგურში დაგვხვდა გემ „ზუგდიდის“ ახალგაზრდა კაპიტანი (ჩანაწერი დამეკარგა და სამწუხაროდ სახელი და გვარი ვერ გავიხსენე), ეროვნებით სომეხი, რომელმაც გაიხარა და „მემლიაკები“ (თანამემამულეები, თანაქალაქელები) გვიწოდა. თქვენ ზუგდიდელები, ჩვენც ზუგდიდელებიო და მიგვიწვია გემზე. გაგვაცნო შესახვედრად გამწკრივებული მემღვაურები, დაგვათვალისწინა გემბანი და კაიუტები. ბოლოს შევედით კაიუტ-კომპანიაში (დასასვენებელი ოთახი) აქ იყვნენ ეკიპაჟის წევრებიც. კაპიტანმა დიდი კმაყოფილება გამოთქვა ჩვენი სტუმრობით და მოგვიყვა, როცა უცხო ქვეყნის ნავსადგურში შევიღვართ და მოსახლეობას ვხვდებით პირველი რითაც ვიწყებთ ჩვენი გემის სახელწოდებაა. ზუგდიდი არის ქალაქი ძველ კოლხურ მიწაზე, ლეგენდარული მედეას სამშობლოში და ვუყვებით არგონავტების მოგზაურობაზე, ოქროს საწმისზე, იაზონის და მედეას სიყვარულსა და თავგადასავალზე, რაც დიდ ინტერესს იწვევს შემხვედრებზე... და ჩვენც ძალიან გვეამაყება.

შემდეგ გაგვაცნო გემის ბიოგრაფია, გემის ტიპი: ნავთობტანკერი, მშენებელი ფინეთი, გამოშვების წელი 1970, სიგრძე-106 მ, სიგანე 15მ, ტევადობა 3.468 ტ, წალწყვა 4.976 ტ.

ეკიპაჟის წევრები მრავალრიცხოვანი სამწუხაროდ ქართველი არ იყო.

კაპიტანმა გააგრძელა, ტანკერი ახლენს ნავთობის ტრანსპორტირებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მოგზაურობას ახლავს საფრთხეებიც. ლათინური ამერიკისაკენ ერთ-ერთი ცურვისას წყნარ ოკიანეში ისეთი ძლიერი წვიმა, ქარი და დღევა იყო, რომ მთელი 24 საათი გემი გვერდზე წვებოდა და ძალიან საშიში სიტუაცია იყო. საბედნიეროდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ხიფათით სავსეა მემღვაურთა ცხოვრება, მაგრამ ეს არ გვაშინებს, რადგან მემღვაურები ძლიერი ხალხია...

კაპიტანმა განაცხადა ჩვენი სურვილია ზუგდიდში ჩამოსვლა, ქალაქისა და ხალხის გაცნობა. ამჟამად ვერ ვახერხებთ, რადგან მცირე დროით შემოვედით ფოთში, შემლუღული ვართ დროში და ამ დღეებში გავდივართ. გპირდებით, როგორც შესაძლებლობა მოგვეცემა აუცილებლად გინახულებით...

შემდეგ, გამოვიდა ბაგონი მურთაზი, დამსწრეებს მადლობა მოახსენა გულითადი შეხვედრისათვის და მათ გააცნო საქართველოსა და ზუგდიდის წარსული და აწმყო, ჩვენი კულტურა, ხელოვნება, განათლება, ეკონომიკა, გამოთქვა სურვილი და მოწვევა მომავლისათვის თქვენთან შეხვედრა ზუგდიდში დიდ სიახლოვებას მოგვანიჭებს ჩვენ, თანამოქალაქეებსო...

დელეგაციის წევრ მოსწავლეებმა იმღერეს.

შემდეგ მიგვიწვიეს მემღვაურთა სადილზე. სუფრაზე იყო ღვინო, სხვადასხვა სახისა და გემოვნებით მომზადებული თევზი, საქონლის კონსერვები („ტუშონკა“) შავი და თეთრი პური, მინერალური წყლები... ითქვა ტკბილი სიტყვები...

დიდად კმაყოფილნი და ნასიამოვნები სტუმარ-მასპინძლები მომავალ შეხვედრამდე დავემორღეთ ერთმანეთს.

მეორე დღეს ამ შეხვედრაზე საქართველოს ტელევიზიამ „მოამბეში“ სიუჟეტი აჩვენა და მაყურებელს მოუთხრო.

წლები გავიდა მას შემდეგ, ჩვენ არაფერი გვსმენია ტანკერ „ზუგდიდის“ შესახებ. ისევ „ზუგდიდი“ ქვია თუ სახელი გადაარქვეს ცოცხალია და ისევ ცურავს მსოფლიო ზღვებსა და ოკეანეებს, იქნებ უბედური შემთხვევის გამო დაიღუპა...

ამაზე ვდარდობ...

ასეა, „არ ღაპიყყება მოყვრისა

აროდეს გვიმამს ზიანსა!“

.შ. წამძლია სულმა და გულმა და ინგერნეტ სივრცეში მოვიძიე და სხვადასხვა წყაროებში ამოვიკითხე გემი, ტანკერი „ზუგდიდი“, ერთი წყაროს ცნობით ამჟამად უცნობ ადგილას მდებარეობს...

მეორე წყარო იუწყება, „ზუგდიდის“ სამუშაო მდგომარეობა ჩამოწერილია და დაკარგულია...

მესამე წყარო გვამცნობს გემი „ზუგდიდი“ 1995 წელს ჯართად დაიჭრა...

როგორც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არსებული სხალხო ქონება ვინ დაიგაცა და რა ბედი ეწია არავინ იცის და არც ინტერესდება ამის ნათელი მაგალითი და შედეგია ტანკერი „ზუგდიდი“.

დიდარ დაბარგულია
12.2021 წელი

ლაშა გვასალია ჩანაწერები ყველაფერზე

1. სრულყოფილი პარმონის უნივერსალური აღქმით, ყველაზე დიდი ჭეშმარიტება- სიყვარულია, რადგან ისაა საფუძველი ყოვლის!..

2. გალაკტიონის ამ სიტყვებზე ბევრი მიფიქრია:

“რომანტიული ქარის წვიმაში

ნირშეუცვლელი იყო გალობა:

ბედნიერება არის მირაჟი,

უბედურება კი რეალობა...” - ბედნიერება სიამოვნებაა, უბედურება კი, პირიქით - უსიამოვნება. სიამოვნება თავისი არსით, უსიამოვნებაზე ხანმოკლეა. სიცოცხლე ხომ ნაკლებობიდან, ანუ უსიამოვნებიდან იწყება. სიამოვნება, თუკი გაჭიანურდა, უთუოდ მოწყენილობას მოიგანს და თავად იქცევა უსიამოვნებად. ამიტომაც უსიამოვნება ნორმაა, სიამოვნება - გამონაკლისი. უსიამოვნება სიღრმიდან მოდის, სიამოვნება ზედაპირიდან. სიცოცხლე ხომ უსიამოვნება და მასთან მუდმივი ბრძოლაა...

ყოველივე კი მკაფიოდ ჩანს ადამიანის გრძნობაში. გონება ნათლად უჩვენებს ადამიანის ცხოვრების ამაოებას და აძლიერებს უსიამოვნების ისედაც ქვემდებარე გრძნობას. ქვეყნად თავის არსებობას გონიერი არსება პრინცი პულ სასრულობად და შეზღუდულობად აცნობიერებს, რასაც გაურკვეველი შიშის განცდა სდევს თან. ეს გაურკვეველი შიში - წინ უსწრებს და განსაზღვრავს ადამიანის მოქმედებას, ცხოვრებას. გონებასთან კავშირი აღრმავეებს და აძლიერებს გრძნობის უარყოფითობას, ანუ უსიამოვნებას. სიამოვნება კი აშკარად მეორეულია, ე.ი. ნაწარმოებია, ძალიან ხშირად ხელოვნურიც.

ასე რომ, არსებობა არყოფნის დარღვევაა და მეორეულია. გრძნობის ძირეულ უარყოფაში სწორედ ეს უმოგადესი, მეტაფიზიკური ვითარებაა ასახული.

ასეა: „ბედნიერება არის მირაჟი,

უბედურება კი რეალობა...”

3. ნუ ებრძვით, მეგობრებო, ღირსეულ და მისაბამ ადამიანებს, თორემ ერთხელაც, როცა თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს დასჭირდებათ იდეალი, მისაბამი პიროვნება, ვერავისზე მიუთითებთ, რადგანაც ისეთქვენსმიერ “განადგურებული”, შეურაცხყოფილიდა უარყოფილიდა კარგავს მიმზიდველობას, მოკლედარიარსებებს!..

არადა, მერწმუნეთ, უთუოდმოგიგანთდროამისაჭიროებას

4. “კართაგენული უმაღურებით”...

გამომდინარე იქიდან, რომ ჭარბწონიანობა მეც მაწუხებს, მიუხედავად იმისა, რომ აბსოლუტურად არ ვსცემ პატივს მყვირალა და მუშგებით მოჟურნალისგე ინგა გრიგოლიას, მისი წონაში დაკლება მზერას გასახარად მოხვდა, ვარდისფერი, შავილებიანი პიჯაკიც უხდებოდა, მაგრამ მის უტიფრობასა და უეცრობას ეს აბა როგორ უშველიდა?

როგორც ყოველთვის ბადალი არა ჰყავს საკითხის უსაშველოდ ულტრირებასა და “წარმოსახვით ღოკუმენტალიზაციაში”, ამბობს ყველაფერს შეუჩერებლად და სულმოუთქმელად, რაც მისი და “ჭუტენჰაუზის” კანტორას წაადგება და გაახარებს!

მაგრამ დილეგანტიზმი ფეხმარდი ჭაბუკივით წამოეწევა ხშირად და ვერ გაურბის... (ეს უამრავლთ ემართებათ, განა მარტო მას).

გადავალ პირდაპირ შენიშვნაზე, დავსძენ, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიკეთით ვეცევი: ინგა ჩემო, სოციოლოგიაში ცნობილია ცალმხრივი და ორმხრივი ურთიერთქმედების პრინციპი, როცა ურთიერთობათა კლასიფიკაციაში შეიძლება განვასხვაოთ ცალმხრივი და ორმხრივი ურთიერთქმედება.

ცალმხრივია ნებისმიერი ქმედება ორ სუბიექტს შორის, როცა ერთი მხარე გავლენას ახდენს მეორეს ქცევაზე, რომელიც განსაზღვრავს მის მოქმედებას. შესაბამისად პასუხიმგებლობაც პასიური, ანუ ცამხრივია!..

ორმხრივია ნებისმიერი ურთიერთქმედება, რომელშიც ორივე მხარე გავლენას ახდენს ერთმანეთის ქცევაზე და პასუხისმგებლობაც- თანაბარია...

ცნობისთვის, სოციოლოგია ხომ ადამიანთა ცხოვრებისა და მოქმედების შემსწავლელი მეცნიერებაა. ამიტომაც ბოროტებასა თუ დანაშაულზე პასუხს აგებს, არა მხოლოდ უშუალოდ შემსრულებელი, არამედ ის “ჰაუსებიც”, რომლებიც იდეოლოგიურად “ორმხრივი ძალისხმევით” ამზადებდნენ უბედურებას.

თუმცადა, ყველაზე დიდი უბედურება, რომელსაც ქადაგებთ- უმაღურებაა- საგანური ძალისხმევის ღმერთგამოცლილი გრძნობა!

ხოო ასეა, ქალბატონო ინგა- ვიზიავ?!



შესანიშნავ ექიმ ოტორალინგილოგს, ბრწყინვალე მამულიშვილს, ქმუგდიდის კოლორიტ პიროვნებას პეტრე (მურთაზ) პეტრეს ძე უბერს დაბადების 80 წელი შეუსრულდა.

ცოცხალი თუ მოიპოვება ამ ქვეყანაზე სამშობლოზე და თავის ხალხზე, პროფესიაზე უზომოდ შეყვარებული, შრომისმოყვარე, კაცთმოყვარე, პასუხისმგებელიანი ადამიანი, საიმედო მეგობარი, როგორც ბატონი პეტრე (მურთაზ) უბერია.

საქართველოში ფართოდ ცნობილი ექიმი პედიატრის პეტრე გაბრიელის ძე უბერის და მშვენიერი ქ-ნი ჟოზეფინა ძაძაძის შთამომავალია, რომელიც ღირსეულად აგრძელებს წინაპართა წარმატებულ საქმეებს.

ბ-ნი პეტრე (მურთაზი) სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობას იწყებს ენგურ-პესის მშენებლობის საბერიოს საექიმო ამბულატორიის გამგე ექიმად განაწილებით. 3 წლიანი მუშაობის შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტის ოტორალინგილოგიის კათედრაზე მიმდებარე ორდინატურაში. მოგვიანებით დაუსწრებლად ამთავრებს ასპირანტურას კიევის სამედიცინო ინსტიტუტის ბაზაზე სპეციალობით. 1976 წლიდან ღმრთულად მუშაობს ზუგდიდის რეფერალური ჰოსპიტალის ყელ-ყურ ცხვირის ექიმად, მთავარ სპეციალისტად, გაკეთებული აქვს 17000-ზე მეტი ოპერაცია და 200 000-ზე მეტი პაციენტისთვის გაუწევია კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. არც ერთი გართულება, ლეგარულ შემთხვევას ადგლი არ ჰქონია, არც საჩივარი და უკმაყოფილო პაციენტი არ ყოლია, რაც ბატონ პეტრეს (მურთაზი) მაღალ პროფესიულ ღონებზე მიუთითებს. ამიგომ უყვართ და პატივს ცემენ მას. ღიდად აფასებენ მის პიროვნებას, როგორც კოლეგები, ისე სამოგადოება. სანიმუშოა მისი ოჯახი, მეუღლე ქ-ნი ეთერი (დოდო) ექიმი თერაპევტი და შვილები თამარი, ნინო, პეტრე თავიანთი მეუღლეებით და შვილებით, 8 შვილიშვილით, წინაპრების ღირსეული შთამომავლები არიან. ”პატივი ეცი მაშასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და ღმრთელი იყო ქვეყანასა ზედა”.

ამ დღიებული შტოს ფესვები საფრანგეთიდან მოდის. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის მოწვევით ზუგდიდში ჩამოსულან ახალგაზრდა ძმები იოსებ და გაბრიელ პეტრეს ძე უბერები. მოსწონებით სადალიანო, დაქორწინებულან მეგრულ ქალიშვილზე და აქ დამკვიდრებულან. მათი შთამომავლები დღეისთვის რამოდენიმე ათეულ ოჯახს შეადგენს, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. მათი უმრავლესობა წარმატებული ექიმები და იურისტები იყვნენ და არიან.

სულით და ხორციტ კეთილშობილ და ლამაზ პიროვნებას ბ-ნი პეტრე (მურთაზ) უბერს ვულოცავთ დაბადების 80 წლის იუბილეს, ვუსურვებთ ასეთივე შემართებით და ენერგიულობით ღიდახანს სიცოცხლეს, პროფესიულ საქმიანობას თავისი ოჯახის და ჩვენი მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

ზუგდიდის სამედიცინო სამოგადოების ექიმთა სახელით, უახლოესი მეგობრები :

დამური აბსანაძე, იური ქობალაძე, რამინ სურმაძე, როლანდ ახალაია, გოჩა ბულუა, შალვა ჯაბუა, რეზო მონლაშვილი, გვიამ თოლორაძე, ბაია ქარაბია, ელისო კიკიგაძე

ამერიკული ისტორიის მობილური მუზეუმის პრეზენტაცია გუგლიდში



აშშ-ს საელჩოს და ქართული კომპანიების ხელშეწყობით, შესაძლებელი გახდა მე-18, მე-19 საუკუნეების უნიკალური ისტორიული ნივთების ჩამოტანა საქართველოში. საწყის ეტაპზე, კოლექციის დათვალიერება შესაძლებელი იქნება საქართველოს რეგიონებში. მომავალში მუზეუმი მუდმივ მისამართზე დაიდებს ბინას.

ამერიკული ისტორიის მობილური მუზეუმის პრეზენტაცია გაიმართა გუგლიდში, 2 ივნისს, სასტუმრო ლეთოში. მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ სხვადასვა საინტერესო ექსპონატი, დაეგეგმვინათ ქართული ღვინო, მოესმინათ მუზეუმის დაარსების ისტორია და კომპეტენტური პირისგან მიიღოთ ინფორმაცია ექსპონატების შესახებ.

გამოფენილ ექსპონატებს შორის იყო წერილები თეთრი სახლიდან, ამერიკის სხვადასხვა პრეზიდენტების საკუთრებაში არსებული ნივთები, წინა საუკუნეების ჭურჭელი, პრინცი მანაბელის ერთერთი პირველი სუნამო, ძველი სამოსი, სხვადასვა აქსესუარი, სპორტული ინვენტარი, მუსიკალური ნივთები და სხვა.

ამერიკული კულტურის ცენტრი 2020 წელს დაფუძნდა. ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების და საქართველოს შორის კულტურული კავშირების განვითარების მიზნით შეიქმნა.

მისი დამფუძნებლები არიან გვიად ფოჩხუა, მთავარი რედაქტორი, მაიკლ ქავგილი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და ევგენი ჯოხიძე.

“ამერიკული კულტურის ცენტრი, საქართველოსა და აშშ-ს შორის მზარდი თანამშრომლობის საპასუხოდ დაარსდა. ცრუ ინფორმაციების და პროპაგანდის ეპოქაში, ქართულ სამოგადოებას ამერიკული კულტურის ღირებულებების და აშშ-ს რეგიონში ინტერესების შესახებ ინფორმაციის მისაღებად სანდო წყარო სჭირდებათ”- ცენტრის თავმჯდომარე გვიად ფოჩხუა.

ცენტრის საქმიანობა განათლების და კულტურის სფეროში განამტკიცებს ორგანიზაციას და მის გავლენას ქართულ სამოგადოებაში, მიაჩნია ცენტრის თავმჯდომარეს.

ამერიკული კულტურის ცენტრი განსაკუთრებულ მაღლობას უხდის მხარდამჭერებს.

საკონტაქტო პირი:
თამარ ხელაია 555 96 52 52



სამეგრელო-ზემო სვანეთის სამოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვერისის მაცნე“-ს რედაქცია 25 წლისთავთან დაკავშირებით გეგმავს გამოსცეს წიგნი - „ვერისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ წიგნი აისახება უნიკალური მასალები ცნობილ ადამიანებზე, მათ სამოგადოებრივ საქმიანობასა და შემოქმედებით მოღვაწეობაზე. ჩვენი ქალაქისა და რეგიონის ისტორიაზე რომელშიც „ვერისის მაცნე“-ს წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული. წიგნი „ვერისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ კი ჩვენი წარსული ისტორიის ნამდვილი ექსპონატი, მომავალ თაობებს კინო კადრებით გააცნობს წარსულს - აწმყომი ამ დღეობით „ოღონდ ერთმანეთი გვიყვარდეს“.

საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში წიგნი „ვერისის მაცნე – სამეგრელოს მაგიანე“ ს სახელით. „საქართველოს ბანკი“, შპს „ვერისის მაცნე“ 98 000000537135285

მსურველებს, ჩვენს ერთგულ მკითხველებს, გულშემატკივრებს შეგიძლიათ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხოთ თქვენთვის სასურველი თანხა. ერთად გადავარიანთ ჩვენი წარსული.